



სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 1.1/22

ქ. თბილისი

16.01.2015 წ.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან 2015 წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიულ კოლეჯ „აიტის“ რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, 2015 წლის განმავლობაში, მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობად განისაზღვროს 1000 (ათასი) ფურცელი.
2. დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
3. ბრძანება ძალაში ხეომოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) ან/და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რეესტრის წარმოების სამსახურის უფროსის (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის) - ნინო თოდუას სამსახურებრივი ბარათი (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის NMES 315 00014085; 13.01.2014).

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მაია სიმონიძე